

# ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14

2019 წლის 7 ივნისი

## ქ. ლაგოდები

### „ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

#### მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №11 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge/16/07/2014\\_010250040.35.167.016123](http://www.matsne.gov.ge/16/07/2014_010250040.35.167.016123)).

#### მუხლი 2

1. დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ ქვეპუნქტი:

„კ) მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით მულტიმუნიციპალური სივრცით დაგეგმარების გეგმის შემმუშავებელი ერთობლივი საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცება;“.

2. დებულების მე-3 მუხლის მე-11 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.ა“ და „ა.ბ“ ქვეპუნქტები:

„ა.ა) მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის სივრცით დაგეგმარების, გენერალური და განაშენიანების გეგმების/განაშენიანების დეტალური გეგმების კონცეფციებისა და პროექტების დამტკიცება;“;

ა.ბ) მულტიმუნიციპალური სივრცით დაგეგმარების გეგმის შემმუშავებელი ერთობლივი საბჭოს მიერ წარდგენილი მილტიმუნიციპალური სივრცით დაგეგმარების გეგმის დამტკიცება;“.

3. დებულების 35-ე მუხლის მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. ფრაქციაში ახალი წევრის მიღების, ფრაქციიდან წევრის გასვლის ან გარიცხვის, ფრაქციის პოლიტიკურ პლატფორმაში და/ან წესდებაში ცვლილების, ფრაქციის თავმჯდომარის, ან/და თავმჯდომარის მოადგილის შეცვლის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას. ფრაქციიდან წევრის გასვლის, გარიცხვის ან ფრაქციის წევრის, როგორც საკრებულოს წევრის, უფლებამოსილების შეწყვეტის შედეგად თუ მასში გაერთიანებული დარჩა 3-ზე ნაკლები საკრებულოს წევრი, ფრაქცია გაუქმებულად ჩაითვლება, ფრაქციიდან წევრის გასვლის, გარიცხვის ან საკრებულოს წევრის, უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ განცხადების წარდგენის დღიდან მე-7 დღეს. ამ პერიოდში ფრაქცია ინარჩუნებს დებულებით (რეგლამენტით) გათვალისწინებულ უფლებებს. ფრაქციის გაუქმების შესახებ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია უახლოეს სხდომაზე აცნობებს საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს.“.

#### მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია

